371(09)
ჯ-491

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ჯინჭარაძე მარინა გრიგოლის ასული

# იაკობ გოგებაშვილი დედა-ენის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში

13.00.01 - პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ავტორეფერატი დისერტაციისა

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1992 წ.

შრომა შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელები: პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ჯ. ბერიშვილი

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დ. დარჩია

ოფიციალური ოპონენტები: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ციბაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. თ. მგალობლიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი

დაცვა შედგება "30" VI 1992 წ. ------ საათზე, თსუ საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზირებული საბჭოს კ 057.03.25 სხდომაზე (380028, ი.ჭავჭავაძის გამზირი - 3 თსუ II კორპ. 182 აუდიტორია)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა "---"------------- 1992 წ.

სპეციალიზირებული საბჭოს
სწავლული მდივანი
პედაგოგიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი                    თ. კარანაძე

1387

Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

## პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ენა ერის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ტერიტორიასთან, ეკონომიკურ ერთობასა და ფსიქიკურ წყობასთან /კულტურასთან/ ერთად, თუ ერი ენას დაკარგავს, იგი განადგურდება, მოისპობა. მოხდება მისი ასიმილაცია სხვა ერთან. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჩვენს დიდ წინაპრებს. ამიტომ იყო, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სამ ძვირფას ხატებას, ერის არსებობის აუცილებელ პირობას, ერის ბურჯსა და საძირკველს: ენას, მამულსა და სარწმუნოებას!

ენისადმი ქართველი კაცის განსაკუთრებულ, მოწიწებულ დამოკიდებულებაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ რეტროსპექტულ მზერას გადავავლებთ საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიას. "ქართლის ცხოვრებაში" ასე წერს ლეონტი მროველი ქართლის პირველი მეფის ფარნაოზის შესახებ: მან /ფარნავაზმა/ განავრცო "ქართული ენა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

ქართული ენის შესანიშნავ საგალობელს წარმოადგენს "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", სადაც ქართული ენა არათუ გათანაბრებულია ბერძნულთან ("ისინი ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართაი"), არამედ მას უპირატესობაც კი აქვს მინიჭებული: "ყოველი საიდუმლოი ამასა შინა დამარხულ არს". უფრო მეტიც, ქართული ენა საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც კია აღიარებული, რადგანაც ქართველთა ღრმა რწმენით "დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა უფლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამის ენითა".

ასეთი რამ მხოლოდ იმ ერის წარმომადგენელს შეიძლება ეთქვა, რომელსაც ძლიერი აქვს ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სიამაყის გრძნობა. რამ შეუწყო ხელი ამ ხანაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და გაძლიერებას? აკად. კ. კეკელიძე ასეთად არაბთა ბატონობას და იმ მძიმე ვითარებას ასახელებს, რომელშიც არაბებმა ქართველი ხალხი ჩააგდეს, თუ დასაწყისში არაბები მარტო ხარკის გადახდით კმაყოფილდებოდნენ და სარწმუნოებას არც ეხებოდნენ, შემდგომში მათ დაიწყეს ქართველთა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შევიწროება. ამან ჩვენ წინაპრებს აშკარად დაანახა, რომ ისინი დგანან ეროვნული გადაგვარების, დენაციონალიზაციის საფრთხის წინაშე და რომ აქედან თავის დახსნის ერთადერთი საშუალება არის საკუთარი ეკლესიის ფრთებქვეშ ეროვნულ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება. ამ რწმენით არის ანთებული იოანე საბანისძის "აბოს წამება", სადაც ქართველთა პოლიტიკური მერყეობა, ქრისტიანულ